ოქმი N 7

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 16 აპრილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. კობა გოქაძე
4. აკაკი ხურცილავა
5. გია წულაია
6. გოჩა ჯობავა
7. ლაშა ცატავა
8. თემურ გულუა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის 2018 წლის 28 მარტის №9866 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N10 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის თაობაზე.
- „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემისას ელექტრონულ აუქციონში (პირობებით/უპირობოდ) გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, იჯარის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების, რეგისტრაციის ჟურნალის, ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N12 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის თაობაზე.
- „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N13 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის 2018 წლის 28 მარტის №9866 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის #10 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის თაობაზე.
- „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემისას ელექტრონულ აუქციონში (პირობებით/უპირობოდ) გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, იჯარის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების, რეგისტრაციის ჟურნალის, ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N12 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის თაობაზე.
- „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N13 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: 1. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N10 დადგენილებით დამტკიცებულია ხობის მუნიციპალიტეტის, ასევე ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ აღნიშნული დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის დროს გამოვლენილ იქნა სამართლებრივი ხარვეზი, კერძოდ, დადგენილების მიღების საფუძვლად პრეამბულაში მითითებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ." ქვეპუნქტი და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულება. ვინაიდან „ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის დებულება მოითხოვს ნორმატიული აქტის მიღებას (გამოცემას) მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით (ამასთან, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში მითითებული უნდა იყოს, რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული (გამოცემული) იგი), მართებული იქნება დადგენილების პრეამბულაში ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან ერთად მიეთითოს „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლითაც პირდაპირ არის განსაზღვრული მუნიციპალიტეტის ვალდებულება დაადგინოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის რეკომენდაციის მიხედვით, ზემოაღნიშნული გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ.

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემისას ელექტრონულ აუქციონში (პირობებით/უპირობოდ) გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, იჯარის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების, რეგისტრაციის ჟურნალის, ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N12 დადგენილების მე-2 მუხლით ძალადაკარგულად ცხადდება „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმების დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 30 აპრილის №96 დადგენილება. განსახილველი წერილიდან გამომდინარე, აუცილებელია, დადგენილების პრეამბულაში მითითებული იყოს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. ასევე, დადგენილების მე-6 დანართის მე-5 პუნქტში არსებული ჩანაწერი „გამგეობა“ შეიცვალოს „მერიით“. მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემისას ელექტრონულ აუქციონში (პირობებით/უპირობოდ) გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, იჯარის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების, რეგისტრაციის ჟურნალის, ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხის ინიციირების წესით წარდგენა განმარტებით ბარათთან ერთად.

3. „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N13 დადგენილებით ხდება საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცება. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებული სამართლებრივი რეკომენდაციების შესაბამისად, დადგენილების პრეამბულას სამართლებრივ საფუძვლად უნდა დაემატოს საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ხოლო დანართი №1-დან ამოღებული იქნეს დებულებები საჯარო ინფორმაციის ბეჭდური სახით გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, ვინაიდან პროაქტიული გამოქვეყნება გულისხმობს საჯარო ინფორმაციის მხოლოდ ელექტრონულ რესურსზე გამოქვეყნებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომზადდა დადგენილების პროექტი „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც მომხსენებელმა გააცნო კომისიის წევრებს და მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხის ინიციირების წესით წარდგენა განმარტებით ბარათთან ერთად.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებებს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემისას ელექტრონულ აუქციონში (პირობებით/უპირობოდ) გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, იჯარის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების, რეგისტრაციის ჟურნალის, ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და დადგენილების პროექტი „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ინიციირების წესით, განმარტებით ბარათებთან ერთად წარდგენილ იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია